სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N162/01/124
CPV: 45261000 - სახურავის კარკასისა და საფარის მონტაჟი და
მასთან დაკავშირებული სამუშაოები

ქ. თბილისი 03 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში _ შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ქართლი" წარმოდგენილი დირექტორის გოვენ რუბაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 ივნისის N624181 წერილის, დაგეგმვისა და ანალიტიკის სამსახურის სპეციალისტის ნანა გოდერძიშვილის 2015 წლის 03 ივლისის N639508 და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილის 2015 წლის 16 ივნისის N513694 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ აბაშის №1 საჯარო სკოლის დამხმარე შენობის სახურავის და აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობასთან სპორტული დარბაზის დამაკავშირებელი შენობის სახურავისა და ნაწილი საკლასო ოთახების ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა იხ. ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 25 392.02 (ოცდახუთი ათას სამასოთხმოცდათორმეტი ლარი და ორი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის: სსიპ აბაშის №1 საჯარო სკოლა - 6 953.01 ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა - 18 439.01 ლარი;

მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე, 2015 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: შესაბამისი საჯარო სკოლა.

მუხლი V. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სარეაბილიტაციო ნარჩენებისაგან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სახურავის გადახურვის სამუშაოების წარმოებისას უზრუნველყოს ნალექის შედეგად შესაძლო დაზიანებების პრევენცია. ხოლო გაუფრთხილებლობის შედეგად ზიანის დადგომის შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი.

მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა N2, ფორმა N3) წარმოდგენისა და გაფორმების შემდეგ.

6.2. საბოლოო სამუშაოს შესრულებამდე მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა N2, ფორმა N3), რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

6.3 შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა N2, ფორმა N3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს: სამშენებლო სამსახურის უფროსს მერაბ ჭონიაშვილს, სამშენებლო სამსახურის უფროსის მოადგილეს დავით სუთიძეს, სამშენებლო სამსახურის თანამშრომელს ბეჟან მესხს და სააგენტოს დირექტორის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ ზედამხედველს.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განახორციელოს ერთჯერადად ან ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მხარეთა შორის ფორმა N2-ზე შედგენილი შედარების აქტისა და ფორმა N3 გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2 და N3) გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ასათვისებელი თანხის არაუმეტეს 50% ოდენობით, მას შემდეგ როდესაც სრული მოცულობით გაიქვითება ავანსის სახით მიცემული თანხა. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას

7.4. სახელშეკრულებო თანხის 10%-ის ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ. საექსპერტო მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის

საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N[illegible] დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. საექსპერტო კვლევის საგანია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, ფასი და ხარისხი (საექსპერტო მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი).

7.5. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.6. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

მუხლი VIII ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტით გაზრდა.

8.2. შესაძლებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შემცირება, სათანადო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

9.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;

9.3.3. უარი თქვას შესრულებული სამუშაოს მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა

მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები სამუშაო ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.

9.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებული სამუშაოს ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში მიმწოდებელი იძლევა გარანტიას: სახურავის მოწყობის სამუშაოებზე -15 წლით; კარ-ფანჯრების მოწყობის სამუშაოებზე - 10 წლით; საგარანტიო პერიოდში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

მუხლი X. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

10.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 (ათი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

10.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5. თუ კი მიმწოდებელი 10.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

10.6. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 7.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებული

ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

მუხლი XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2015 წლის 03 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი XII. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, „ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

მუხლი XIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XIV გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი XV. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

მუხლი XVI. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი XVII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/ კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი გრიგოლ გაგოშიძე

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ქართლი", მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, 3ამ/რ, 333კ, ბ.23, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57; ს/ნ206139542, ს.ს. „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი:BAGAGE22, ა/ა GE83BG0000000886085101; ტ: 599 5998 75;

დირექტორი გოვენ რუბაშვილი

(ხელმოწერა)

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს „ქართლი”

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: გ. რუბაშვილი

პრეტენდენტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი,ვარკეთილის 3, 3ამ/რ, 333კ, ბ23
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის გამზირი№57

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: 599569875

ელექტრონული მისამართი: ***govenirubashvili@yahoo.com***
ბანკის კოდი*: BAGAGE22*
ანგარიშსწორების ანგარიში: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
a/a GE83BG0000000886085101
საინდეტიფიკაციო კოდი: 206139542

შპს „ქართლი“-ს დირექტორი: /გ.რუბაშვილი/

MES 6 15 00639508

03/07/2015

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს დირექტორს

ბატონ გრიგოლ გაგოშიძეს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

N513694 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩატარდა ბაზრის კვლევა სსიპ ქ. აბაშის N1 საჯარო სკოლის დამხმარე შენობის სახურავისა და სსიპ სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული სპორტულ დარბაზსა და სკოლის შენობას შორის დამაკავშირებელი შენობის სახურავის და ნაწილი საკლასო ოთახის ფანჯრების რეაბილიტაციის თაობაზე. სამუშაოებზე მოთხოვნა, დეფექტური აქტები და დანართები გაეგზავნათ შემდეგ კომპანიებს:

შპს "civil constraction"
შპს "ჰესპია მური"
შპს "სამება"
სს "იმერეთი"
შპს "საბა კონსტრაქშენს"
შპს "ამაგი"
შპს "გიო და კომპანია"
შპს "დიკა 2010"
შპს "ლიკანი 2000"
შპს "მშენ-ბენი"
შპს "ქართლი"
შპს "მგმ"

შემოთავაზება მიღებულ იქნა შემდეგი კომპანიებისგან:

შპს "მგმ" - აბაშის N1 საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:7613,75 ლარი
სოფელ ზანათის საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:19377,25 ლარი

შპს "ქართლი" - აბაშის N1 საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:6901,58 ლარი
სოფელ ზანათის საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:18331,39 ლარი

შპს "მშენ-ბენი" - აბაშის N1 საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:7882,03 ლარი
სოფელ ზანათის საჯარო სკოლა: ჯამური ღირებულება ექსპერტიზის ბიუროს მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით:19304,98 ლარი

დანართის სახით წარმოგიდგენთ სააგენტოს მიერ გაგზავნილ ხარჯთაღრიცხვას და დანართებს, ასევე კომპანიების მიერ გამოგზავნილ განფასებებს.

დანართი: 9 (ცხრა) ფაილი

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრ
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 15 00624181

30/06/201

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურ
განვითარების სააგენტოს დირექტორ
გრიგოლ გაგოშიძ

ბატონო გრიგოლ,

თქვენი 2015 წლის 22 ივნისის№576261 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელ აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სსიპ აბაშის N1 საჯარო სკოლის დამხმარე შენობის სახურავის და სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლის შენობასთან სპორტული დარბაზის დამაკავშირებელი შენობის სახურავისა და ნაწილი საკლასო ოთახის ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოების (სავარაუდო ღირებულება: სსიპ აბაშის N1 სკოლისათვის - 7884,88 ლარი; სოფელ ზანათის საჯარო სკოლისათვის - 19425,82 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 3 15 00513694

16/06/2015

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს დირექტორს

ბატონ გრიგოლ გაგიშვილს

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს სააგენტოში შემოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ლაშა საღინაძის წერილი N481495, 2015 წლის 8 ივნისს ძლიერი ქარის შედეგად, სსიპ ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლის დამხმარე შენობის სახურავისა და სსიპ სოფელ ზანათის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული სპორტულ დარბაზსა და სკოლის შენობას შორის დამაკავშირებელი შენობის სახურავის და ნაწილი საკლასო ოთახის ფანჯრების დაზიანების თაობაზე. სააგენტოს თანამშრომლების მიერ ადგილზე ოპერატიულად შესწავლილ იქნა არსებული სიტუაცია, შესწავლილ იქნა დაზიანებების ხარისხი, შესრულდა აზომვითი სამუშაოები და მომზადებულ იქნა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აბაშის №1 საჯარო სკოლის და სოფელ ზანათის მოწყობის სამუშაოების ჩამონათვალი და ღირებულება არის:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა - 19 425,82 ლარი; (სახურავი, კარ-ფანჯარა)

2. აბაშის №1 საჯარო სკოლა - 7884,88 ლარი; (სახურავი)

სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ღირებულება 27 310,70 ლარი; სამუშაოების დასრულება განსაზღვრულია სოფელ ზანათის საჯარო სკოლაში და აბაშის №1 საჯარო სკოლაში 1 თვის ვადაში.

ზემოაღნიშნული საჯარო სკოლის შენობის უფრო მეტად დაზიანების და სახელმწიფო ქონების ზიანის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფელ ზანათის და აბაშის№1 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდეს გადაუდებლად.

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2
ცხელი ხაზი, ტელ/Tel.: (+995 32) 220 0 220 2023
www.esida.ge E-mail: info@esida.ge

გთხოვთ, დაავალოთ სააგენტოს შესაბამის სამსახურებს სათანადო ღონისძიებების გატარება.

დანართი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია 5%-იანი ფასის კლება.

პატივისცემით,

ობიექტის დასახელება: [redacted]

[redacted]

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 18,439.01

მათ შორის ხელფასი -

№	შიფრი,ნორმ.№,რესურს.კოდი	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი	შენიშვ
					ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
		1. დემონტაჟის სამუშაოები										
1		თუნუქის სახურავის მოხსნა	კვ.მ.	84.00		0.00	1.25	105.00		0.00	105.00	
2		ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	კუბ.მ.	2.50		0.00	25.00	62.50		0.00	62.50	
3		ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი	კვ.მ.	47.60		0.00	2.50	119.00		0.00	119.00	
4		შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან	ტონა	3.65		0.00	10.00	36.52		0.00	36.52	
5		ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტონა	3.65		0.00	10.00	36.52		0.00	36.52	
6		სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტონა	3.65		0.00		0.00	10.00	36.52	36.52	
		ჯამი				0.00		359.54		36.52	396.06	
		ზედნადები ხარჯები	10.00%								39.61	
		ჯამი									435.67	
		მოგება	8.00%								34.85	
		ჯამი 1									470.52	
		2. სამშენებლო სამუშაოები										
		კედლები										
1		კარ-ფანჯრების შიდა ფერდოების ცემენტის ხსნარით ლესვა	კვ.მ.	39.60	2.00	79.20	7.50	297.00	0.50	19.80	396.00	
2		ფითხით დამუშავება და წყალემულსიური საღებავით ორჯერ შეღებვა	კვ.მ.	39.60	2.00	79.20	5.00	198.00	0.10	3.96	281.16	
3		კარ-ფანჯრების გარე ფერდოების შელესვა ცემენტის ხსნარით	გრძ.მ.	132.00	1.00	132.00	3.75	495.00	0.50	66.00	693.00	
4		შხეფით ორჯერ დამუშავება საღებავით	კვ.მ.	132.00	1.00	132.00	1.25	165.00	0.10	13.20	310.20	
		კარ-ფანჯრები				0.00		0.00		0.00	0.00	
5		მეტალოპლასტმასის ფანჯრის მოწყობა	კვ.მ.	47.60	100.00	4760.00	10.00	476.00	5.00	238.00	5474.00	
6		მოთუთიებული თუნუქის საცრემლეების მოწყობა, სისქით 0.55 მმ	კვ.მ.	11.00	10.00	110.00	15.00	165.00	0.20	2.20	277.20	
		სახურავი				0.00		0.00		0.00	0.00	
7		ხის ანტისეპტირებული ნივნივების მოწყობა	კუბ.მ.	2.34	400.00	936.00	100.00	234.00	20.00	46.80	1216.80	
8		ხის ნიენივების ცეცხლდაცვა	კუბ.მ.	2.34	25.00	58.50	25.00	58.50		0.00	117.00	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
[illegible]		ხის მასალისგან დამზადებული [illegible] მოლარტყვა სისქით 4[illegible]	კვ.მ	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
10		ხის მოლარტყვის ცვლა	კვ.მ.	93.60	0.24	22.00	0.25	23.40		0.00	45.40
11		ხის მოლარტყვის ანტისეპტირება	კვ.მ.	93.60	0.25	23.40	0.25	23.40		0.00	46.80
12		ინდაუს მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ	კვ.მ.	12.00	8.00	96.00	5.00	60.00	0.10	1.20	157.20
13		მოთუთიებული პროფილირებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ, ("**პროფნასტილი**") სახურავის დახურვა	კვ.მ.	93.60	10.00	936.00	5.00	468.00	0.20	18.72	1422.72
		ჯამი				8113.10		2897.30		437.96	11448.36
		ზედნადები ხარჯები	**10.00%**								1144.84
		ჯამი									12593.19
		მოგება	**8.00%**								1007.46
		ჯამი 2									**13600.65**
		1+2 თავების ჯამი									**14071.17**
		მასალების ტრანსპორტი	**%**	**5.00**		8113.10					405.65
		ჯამი									14476.82
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	**%**	**5.00**							723.84
		ჯამი									15200.66
		დღგ	**%**	**18.00**							2736.12
		ჯამი									17936.78

შენიშვნა : **საქართველოს მთავრობის 2012წ. 8 მაისის № 171 დადგენილების თანახმად, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გათვალისწინებული უნდა იქნას ექსპერტიზის ბიუროს მომსახურეობის ტარიფი**

	ექსპერტიზის ბიუროს მომსახურეობის ტარიფი /პუნქტი 137/	**2.80%**		**502.23**	
	სულ			18439.01	

შპს. „ქართლი"-ს დირექტორი / გ. რუბაშვილი/

ობიექტის დასახელება: [redacted]

[redacted]

[redacted] სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 6,953.01

მათ შორის ხელფასი -

№	შიფრი,ნორმ.№რესურს.კოდი	სამუშაოთა დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი	შენიშვნ
					ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
		1. დემონტაჟის სამუშაოები										
1		თუნუქის სახურავის მოხსნა დასაწყობებით	კვ.მ.	130.00		0.00	1.25	162.50		0.00	162.50	
2		ხის კონსტრუქციების დემონტაჟი დასაწყობებით	კუბ.მ.	0.90		0.00	25.00	22.50		0.00	22.50	
		ჯამი				0.00		185.00		0.00	185.00	
		ზედნადები ხარჯები	**10.00%**								18.50	
		ჯამი									203.50	
		მოგება	**8.00%**								16.28	
		ჯამი 1									219.78	
		2. სამშენებლო სამუშაოები										
		სახურავი										
1		ხის ჩამოგანული ფიცრებით მოლარტყვა, სისქით 25მმ	კვ.მ.	130.00	8.00	1040.00	2.50	325.00	0.30	39.00	1404.00	
2		ხის მოლარტყვის ცეცხლდაცვა	კვ.მ.	130.00	0.25	32.50	0.25	32.50		0.00	65.00	
3		ხის მოლარტყვის ანტისეპტირება	კვ.მ.	130.00	0.25	32.50	0.25	32.50		0.00	65.00	
4		ინდაუს მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ	კვ.მ.	26.00	8.00	208.00	5.00	130.00	0.20	5.20	343.20	
5		მოთუთიებული **გოფრირებული** სახურავის მოწყობა, სისქით 0.55 მმ	კვ.მ.	130.00	10.00	1300.00	5.00	650.00	0.20	26.00	1976.00	
6		სამერცხლურის მოწყობა	ცალი	1.00	100.00	100.00	100.00	100.00		0.00	200.00	
7		წყალსაწრეტი მილების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ	გრძ.მ.	28.00	4.00	112.00	2.50	70.00		0.00	182.00	
8		წყალმიმღები ძაბრების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ	ცალი	2.00	6.00	12.00	10.00	20.00		0.00	32.00	
9		წყალმიმღები მუხლების მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, სისქით 0.55 მმ	ცალი	2.00	3.00	6.00	5.00	10.00		0.00	16.00	
		ჯამი				2843.00		1370.00		70.20	4283.20	
		ზედნადები ხარჯები	**10.00%**								428.32	
		ჯამი									4711.52	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
		[illegible]	[illegible]								[illegible]	
		ჯამი 2									5088.44	
		1+2 თავების ჯამი									5308.22	
		მასალების ტრანსპორტი	5.00%			2843.00					142.15	
		ჯამი									5450.37	
		გაუთვალისწინებელი ხარჯები	%	5.00							272.52	
		ჯამი									5722.89	
		დღგ	%	18.00							1030.12	
		ჯამი									6753.01	
		შენიშვნა :	საქართველოს მთავრობის 2012წ. 8 მაისის № 171 დადგენილების თანახმად, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გათვალისწინებული უნდა იქნას ექსპერტიზის ბიუროს მომსახურეობის ტარიფი									
		ექსპერტიზის ბიუროს მომსახურეობის ტარიფი /პუნქტი 137/	2.80%								200.00	
		სულ									6953.01	

შ.პ.ს. „ქართლი"-ს დირექტორი

/ გ. რუბაშვილი/